ბრძანება:**ბ20. 202306028**

თარიღი:**01/03/2023**

გორის მუნიციპალიტეტის „2024-2027 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადების თაობაზე“

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 76-ე მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს:
ა) გორის მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადების მიზნით სამუშაო ჯგუფი დანართი 1-ის შესაბამისად;
ბ) 2024-2027 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადების მიზნით შიდა საბიუჯეტო კალენდარი დანართი 2-ის შესაბამისად;
გ) საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ წარმოსადგენი ინფორმაციის ნუსხა 3-8 დანართების შესაბამისად.

2. დაევალოს გორის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს, მერიის სტრუქტურულ ერთეულებთან კოორდინაციით, პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადება/განახლება.

3. კონტროლი ამ ბრძანების შესრულებაზე დაევალოს გორის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილეს.

4. ბრძანება ძალაში შევიდეს ხელისმოწერისთანავე.

5. ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული პირის მიერ, მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში, სარჩელის წარედგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქალაქი გორი, ს.ჯორბენაძის ქ.№30).

ვლადიმერ ხინჩეგაშვილი

გორის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

დანართი 1

სამუშაო ჯგუფის შემადგენლობა

2024-2027 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის მოსამზადებლად წინამდებარე ბრძანებით დამტკიცებული <u>**სამუშაო ჯგუფის შემადგენლობა**</u>:

1. ვლადიმერ ხინჩეგაშვილი მერი - თავმჯდომარე
2. ნიკა ღვინიაშვილი, მერის პირველი მოადგილე - თანათავმჯდომარე
3. თამაზ შიოშვილი, მერის მოადგილე - თანათავმჯდომარე
4. დალი ტლაშაძე, საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის I რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი
5. გიორგი ბერიძე, სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახურის I რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი
6. ზვიადი ანესაშვილი, სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახურის I რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოადგილე
7. არჩილ გიუნაშვილი, ეკონომიკის სამსახურის I რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი
8. კობა მარიამიძე, ეკონომიკური სამსახურის I რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოადგილე
9. რამაზ შიოშვილი, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის I რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი
10. დავით ჩიხრაძე, სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის I რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი
11. ლალი ნალიკაშვილი, სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის I რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოადგილე
12. ალექსანდრე თარხნიშვილი, ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის I რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი
13. ღუტო თოდაძე, ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის მერის წარმომადგენლების და წარმომადგენლების ასისტენტების საქმიანობის კოორდინაციის განყოფილების II რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი
14. მარლენ ნადირაძე, საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე
15. თამარ მურალოვი, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე
16. ასმათ ტალახაძე, საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე
17. გიგა გელაშვილი, ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს ფრაქციის თავმჯდომარე
18. მაია ბოლაშვილი, გორი - „საქართველოსთვის“ ფრაქციის წევრი
19. მიხეილ გოგინაშვილი, უფრაქციო საკრებულოს წევრი

<u>**სამუშაო ჯგუფის არამუდმივი წევრები**</u>:

20. გორის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლები
21. გორის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების ხელმძღვანელები
22. გორის მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წარმომადგენელი
23. არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენელი/წარმომადგენლები
24. სხვადასხვა დარგის სპეციალისტები

დანართი 2

მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო კალენდარი

თვე	**ვადა**	**აქტივობა**
მარტი	01 მარტი	სამართლებრივი აქტის შესაბამისად მუნიციპალიტეტში იქმნება სამუშაო ჯგუფი (მერი, მოადგილეები, საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური, დარგობრივი სამსახურები, დამოუკიდებელი ა(ა)იპ-ის ხელმძღვანელები, საკრებულოს წარმომადგენლები.
	15 მარტი	სამუშაო ჯგუფი შეიმუშავებს მოსახლეობის გამოკითხვის ანკეტას, რომლის მიზანია შემდეგი ინფორმაციის მიღება: 1) რამდენად კმაყოფილია მუნიციპალიტეტის მოსახლეობა გასულ წელს განხორციელებული პროგრამებით. 2) მოქალაქეთა აზრით, რომელია ის პრიორიტეტული სფეროები, რომლებშიც ადგილობრივმა თვითმმართველობამ უნდა გააუმჯობესოს მომსახურების მიწოდება მომავალ წლებში და დავალებას აძლევს მერის წარმომადგენლებს ადმინისტრაციულ ერთეულებში მოსახლეობის გამოკითხვის თაობაზე.
აპრილი	20 აპრილი	მოსახლეობის გამოკითხვა ჩატარდა და შედეგები შეჯამებულია. მერის წარმომადგენლები სამუშაო ჯგუფს წარმოუდგენენ მოსახლეობის გამოკითხვის ანკეტას, რომლის მიზანია იმ პრიორიტეტული სფეროების შესახებ ინფორმაციის მიღება, რომლებშიც მოქალაქეთა აზრით, ადგილობრივმა თვითმმართველობამ უნდა უზრუნველყოს პრობლემის მოგვარება.
	20 აპრილი	სამუშაო ჯგუფი იკრიბება პრიორიტეტების დასადგენად და/ან უკვე განსაზღვრული პრიორიტეტების დასახარისხებლად. რაც უნდა განხორციელდეს მრავალწლიანი ან საშუალოვადიანი გეგმის დოკუმენტის საფუძველზე.
ივნისი	22 ივნისი	საბიუჯეტო ორგანიზაციები და პასუხისმგებელი სამსახურები ამზადებენ პროგრამის/ქვეპროგრამის შესახებ ინფორმაციას და ითვალისწინებენ ამ წინადადებებს მათი ობიექტურობიდან გამომდინარე.
	22 ივნისი	მუნიციპალიტეტის სამსახურები და საბიუჯეტო ორგანიზაციები განიხილავენ დოკუმენტებს პროგრამული ინფორმაციის შესახებ სხვა დაინტერესებულ მხარეებთან ერთად და შეიტანენ ცვლილებებს პროგრამებში, მიღებული კომენტარების შესაბამისად.
	27 ივნისი	მუნიციპალიტეტის სამსახურები და საბიუჯეტო ორგანიზაციები წარუდგენენ დოკუმენტებს პროგრამული ინფორმაციის შესახებ საფინანსო სამსახურსა და სამუშაო ჯგუფს.

ივლისი	11 ივლისი	პროგრამული ინფორმაციის წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური ამზადებს პრიორიტეტების დოკუმენტის პირველ პროექტს და წარუდგენს სამუშაო ჯგუფს, ახლად შემოთავაზებულ პროგრამებთან ერთად.
	18 ივლისი	სამუშაო ჯგუფი ამზადებს კომენტარებს პრიორიტეტის დოკუმენტის პირველ პროექტზე და მოახდენს პროგრამების/ქვეპროგრამების პრიორიტეტულობის განსაზღვრას, მათი როლის გათვალისწინებით.
	25 ივლისი	საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური ამზადებს მიმდინარე პროგრამების (რომელიც გრძელდება მომავალ წლებში) საშუალოვადიან ხარჯთაღრიცხვებს და შემოსულობების პროგნოზს და სამუშაო ჯგუფს წარუდგენს ახალი ინვესტიციების დაფინანსების პოტენციალს. მიღებული მასალების განხილვის საფუძველზე სამუშაო ჯგუფი საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს აწვდის რეკომენდაციებს ახლად შემოთავაზებული პრიორიტეტების მიხედვით განსაზღვრული პროგრამების სიას, რესურსებთან შესაბამისობაში.
	31 ივლისი	საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური ასწორებს პრიორიტეტების დოკუმენტის პირველ პროექტს სამუშაო ჯგუფის მიერ მოწოდებული კომენტარებისა და მერის გადაწყვეტილების მიხედვით და ადგენს ხარჯების ლიმიტს საბიუჯეტო ორგანიზაციებისათვის.
აგვისტო	04 აგვისტო	საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური ბიუჯეტის ცირკულარს ზღვრული ჭერებისა და რიცხოვნობის მითითებით უგზავნის საბიუჯეტო ორგანიზაციებს.
	25 აგვისტო	საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმისა და პრიორიტეტის დოკუმენტის შედგენის მიზნით საბიუჯეტო ორგანიზაციები წარუდგენენ თავის საბიუჯეტო მოთხოვნებს საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს.
	31 აგვისტო	სამუშაო ჯგუფი იხილავს წარმოდგენილ მოთხოვნებს და ამზადებს საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის პროექტს მუნიციპალიტეტის მერისათვის წარსადგენად.
სექტემბერი	01 სექტემბერი	მუნიციპალიტეტის მერი გამოსცემს სამართლებრივ აქტს რითიც ამტკიცებს მუნიციპალიტეტის 2023-2026 წლების საშუალოვადიან სამოქმედო გეგმას.
	07 სექტემბერი	საბიუჯეტო ორგანიზაციები წარუდგენენ თავის საბიუჯეტო განაცხადებს საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს.
ოქტომბერი	05 ოქტომბერი	საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 79-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს ყოველი წლის

		5 ოქტომბრამდე აცნობებს მიზნობრივი ტრანსფერის საპროგნოზო პარამეტრებს. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო არაუგვიანეს 05 ოქტომბრისა აცნობებს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტით შესაბამისი ბიუჯეტისათვის გადასაცემი ფინანსური დახმარებისა და გადასახადებიდან მისაღები შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლებს. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 77-ე მუხლის მე-6 ნაწილის საფუძველზე.
ნოემბერი	02 ნოემბერი	საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური ამზადებს ბიუჯეტის პროექტის საკრებულოსთვის წარსადგენ ვარიანტს.
		საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური ამზადებს პრიორიტეტების დოკუმენტის დაზუსტებულ ვარიანტს.
	10 ნოემბერი	საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური ბიუჯეტისა და პრიორიტეტების დოკუმენტის დაზუსტებულ ვარიანტს წარუდგენს სამუშაო ჯგუფს. შენიშვნების არსებობის შემთხვევაში ახდენს წარდგენილი დოკუმენტების კორექტირებას და ამზადებს მას მერისათვის გადასაცემად.
	15 ნოემბერი	მუნიციპალიტეტის მერი საკრებულოს წარუდგენს ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტის პროექტს.
		საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 77-ე მუხლის შესაბამისად ბიუჯეტის პროექტი საკრებულოს წარედგინება შესაბამის პრიორიტეტების დოკუმენტთან ერთად.
დეკემბერი	08 დეკემბერი	საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 78-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე ბიუჯეტის პროექტისა და პრიორიტეტების დოკუმენტის იმავე ან შესწორებულ ვარიანტებს არაუგვიანეს 10 დეკემბრისა, მუნიციპალიტეტის მერი წარუდგენს საკრებულოს.
იანვარ-თებერვალი	22 იანვრიდან 15 თებერვლამდე	შემუშავებული ანკეტის შესაბამისად მერის წარმომადგენლების მიერ განხორციელდება მოსახლეობის გამიკითხვა და მომზადდება ანალიზი თუ: 1) რამდენად კმაყოფილია მუნიციპალიტეტის მოსახლეობა გასულ წელს განხორციელებული პროგრამებით და 2) მოქალაქეთა აზრით, რომელია ის პრიორიტეტული სფეროები, რომლებშიც ადგილობრივმა თვითმმართველობამ უნდა გააუმჯობესოს მომსახურების მიწოდება მომავალ წლებში.
თებერვალი	15 თებერვალი	ორგანიზაციები (პროგრამებზე პასუხისმგებელი სამსახურები) საფინანსო სამსახურს წარუდგენენ პროგრამის შესრულების ანგარიშებს დანართი 7-ით გაწერილი ფორმატით.

	21 თებერვალი	სამუშაო ჯგუფი შეისწავლის და განიხილავს წარმოდგენილ შესრულების ანგარიშებს და შეუძლია მიაწოდოს რეკომენდაციები პროგრამის გაუქმებასთან, შემცირებასთან ან რესტრუქტურიზაციასთან დაკავშირებით, მოსახლეობის გამოკითხვის შედეგების გათვალისწინებით. ორგანიზაციები ითვალისწინებენ სამუშაო ჯგუფის რეკომენდაციებს მომდევნო წლის სამუშაოების დაგეგმვისას.
	28 თებერვალი	საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური ამზადებს კონსოლიდირებულ წლიურ ანგარიშს ბიუჯეტის შესრულების შესახებ და ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ პროგრამების შესრულების შესახებ. მუნიციპალიტეტის მერი 01 მარტამდე ანგარიშს წარუდგენს საკრებულოს.

დანართი 3

პროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის განაცხადის ფორმა

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	

პროგრამის დასახელება:

პროგრამის განმახორციელებელი:

---------- მერიის სამსახური

პროგრამის განხორციელების პერიოდი:	2024-2027 წლები

პროგრამის მიზანი:

პროგრამის აღწერა:

პროგრამის ბიუჯეტი

ქვეპროგრამის დასახელება	სულ	2024 წელი	2025 წელი	2026 წელი	2027 წელი
სულ პროგრამა	**0**	**0**	**0**	**0**	**0**

მოსალოდნელი საბოლოო შედეგი

დანართი 4

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	

ქვეპროგრამის დასახელება:

არის ქვეპროგრამა ახალი? კი/ არა

თუ ქვეპროგრამა ახალია, ვინ წარმოადგინა?	

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

დაფინანსების წყარო

დასახელება	2024 წელი
მუნიციპალური ბიუჯეტი	
სახელმწიფო ბიუჯეტი	
სულ ქვეპროგრამა	

ქვეპროგრამის აღწერა:

ხარჯთაღრიცხვა ღონისძიებების მიხედვით

დასახელება	პროდუქტები		
	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

დასახელება	I კვარტალი	II კვარტალი	III კვარტალი	IV კვარტალი
	X	X	X	X
	X	X	X	X
	X	X	X	X
	X	X	X	X

შუალედური მოსალოდნელი შედეგი (2024 წელი)

პროგრამის საბოლოო შედეგის ინდიკატორები												
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	შედეგის ინდიკატორები						გაზომვის ერთეული	გეგმიური გადახრა	მონაცემთა წყარო	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია, სამსახური)	მეთოდოლოგია	რისკი
	დასახელება	2023 წელი	2024 წელი	2025 წელი	2026 წელი	2027 წელი						

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები												
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	შედეგის ინდიკატორები						გაზომვის ერთეული	გეგმიური გადახრა	მონაცემთა წყარო	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია, სამსახური)	მეთოდოლოგია	რისკი
	დასახელება	2023 წელი	2024 წელი	2025 წელი	2026 წელი	2027 წელი						

დანართი 7

ინფორმაცია პროგრამის შესრულების თაობაზე

პროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი)			
პროგრამის გამახორციელებელი			
პროგრამის აღწერა და მიზანი			
დაგეგემილი საბოლოო შედეგი		მიღწეული შედეგი	

დაგეგმილი საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი			მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი		განმარტება
№	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)	
1					
2					
3					
4					
5					
6					

დანართი 8

ინფორმაცია ქვეპროგრამის შესრულების თაობაზე

<table>
<tr><td colspan="2">ქვეპროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი)</td><td colspan="4"></td></tr>
<tr><td colspan="2">ქვეპროგრამის გამახორციელებელი</td><td colspan="4"></td></tr>
<tr><td colspan="2">პროგრამის აღწერა და მიზანი</td><td colspan="4"></td></tr>
<tr><td colspan="2">დაგეგემილი შუალედური შედეგი</td><td colspan="2"></td><td>მიღწეული შედეგი</td><td></td></tr>
<tr><td colspan="3" rowspan="2">დაგეგმილი შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი</td><td colspan="2">მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი</td><td rowspan="2">განმარტება</td></tr>
<tr><td>№</td><td>საბაზისო მაჩვენებელი</td><td>დაგეგმილი მაჩვენებელი</td><td>მიღწეული მაჩვენებელი</td><td>ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)</td></tr>
<tr><td>1</td><td></td><td></td><td></td><td></td><td></td></tr>
<tr><td>2</td><td></td><td></td><td></td><td></td><td></td></tr>
<tr><td>3</td><td></td><td></td><td></td><td></td><td></td></tr>
<tr><td>4</td><td></td><td></td><td></td><td></td><td></td></tr>
<tr><td>5</td><td></td><td></td><td></td><td></td><td></td></tr>
<tr><td>6</td><td></td><td></td><td></td><td></td><td></td></tr>
</table>